ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №20

ქ. თბილისი „14“ „ივნისი” 2019 წ.

1.ხელშეკრულების დამდები მხარეები
ერთი მხრივ, სსიპ „წამლის სააგენტო”, შემდგომში „შემსყიდველი“, სააგენტოს უფროსის ქეთევან ნიკოლიშვილის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „კაბადონი+“ შემდგომში „მიმწოდებელი“, მისი დირექტორის თეა გადაბაძის სახით.

2.ხელშეკრულების საგანი და ღირებულება
შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „წამლის სააგენტოსთვის” გამოყოფილი 2019 წლის ასიგნებების ფარგლებში, ნაბეჭდი მასალა დამცავი შრეებით (CPV22450000) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება არაუმეტეს **136 (ასოცდათექვსმეტი) ლარად** (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

3.შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და ღირებულება:
3.1. გასაწევი მომსახურების დასახელება, რაოდენობა და აღწერილობა განისაზღვრება დანართი N1–ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.მომსახურების გაწევის პირობები
4.1 ვადები:
4.1.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ერთჯერადათ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 17 ივნისის ჩათვლით შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად. მოთხოვნიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღეში.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთჯერადათ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების მე-14 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი N2) სამ ეგზემპლარად.

6.ანგარიშსწორების პირობები
6.1. ანგარიშსწორების ფორმა–უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;
6.2. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადათ მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა (დანართი N2), მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების, ანგარიშფაქტურის საფუძველზე დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

7.მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გაუწიოს „შემსყიდველის“ ხარისხიანი მომსახურება.
7.1.2 დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.1.3 შესყიდვის ობიექტის დამზადება და მოწოდება უზრუნველყოს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმებისა და მოთხოვნების დაცვით;
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის მოწოდებასთან და ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.მხარეთა უფლებები
8.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1 მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების მიხედვით.
8.2 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1 აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის დარაოდენობის კონტროლი, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე;
8.2.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არასათანადო შესრულების შემთხვევში, შეწყვიტოს ხელშეკრულება ვადაზე ადრე, რის შესახებაც წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს.

9.ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი,, ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ.
10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.3 ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის გაუქმება არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

11.სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ხუთი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაანგარიშებით.
13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.ინსპექტირების პირობები
ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი – სსიპ „წამლის სააგენტოს“ რეგისტრაციის სამმართველოს უფროსი ნაილი შენგელიძე.

15.განსაკუთრებული პირობები
15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.
15.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

15.3 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (5 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
15.4 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, და ერთი “შემსყიდველთან“.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

”შემსყიდველი”	”მიმწოდებელი”
სსიპ „წამლის სააგენტო“ ქ. თბილისი წერეთლის გამზ. №144 საზელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESSGE22 ანგ№GE24NB 0330 1002 0016 5022 ს/კ 202488192	შპს „კაბადონი +” ქ. თბილისი, კოსტავას № 68. ს/კ №205186065 სს „ თიბისი“ „TBCBGE22“ ანგN GE78TB 7390 3360 2010 0001

Legal Entity of Public Law Drug Agency
Digitally signed by Legal Entity of Public Law Drug Agency
Date: 2019.06.14 16:01:13 +04'00'

_____	_____
სააგენტოს უფროსი ქეთევან ნიკოლიშვილი	თეა გადაბაძე დირექტორი

შესყიდვის ობიექტის დასახელება	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**სულ ჯამი**
ფარმაცევტული პროდუქტის სარეგისტრაციო მოწმობა	129 ცალი (027059-დან 027081-ის ჩათვლით; 027093-დან 027129-ის ჩათვლით; 027131-დან 027192-ის ჩათვლით; 027194-დან 027200-ის ჩათვლით).	1	129
რეგისტრაცია - აღნუსხვის მოწმობა	7 ცალი (001525-დან 001531-ის ჩათვლით).	1	7
სულ ჯამი:	**136 (ასოდცათექვსმეტი) ლარი**		

დანართი N2

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „წამლის სააგენტოსთვის“ გამოყოფილი 2019 წლის ასიგნების ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი „_____“ „_____“ 2019 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, შემსყიდველი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „წამლის სააგენტოს“ **უფროსის ქეთევან ნიკოლიშვილის სახით**

და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი:

_____

(ორგანიზაციის სახელი)

_____

(ხელმძღვანელის თანამდებობა: სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ

2019 წ „---“ „----------“ № ---------- ხელშეკრულების პირობის შესაბამისად, გაწეულია მომსახურება.

(ხელშეკრულების თარიღი და ნომერი)

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

გაწეული მომსახურების ღირებულებამ

შეადგინა:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია:

ანაზღაურებულია:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება მიიღო:

1. ხელმძღვანელი

მომსახურება ჩააბარა:

1. ხელმძღვანელი